


## სახელმწიფო ინვესტიციები

(31.12.2019)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების პორტფელის ღირებულებითმა მოცულობამ **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** შეადგინა 553.9 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.


სახელმწიფო ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა (53%) და საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (17%).

### ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით




სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულების 52% მოდის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (სახელმწიფო, რესპუბლიკური, ადგილობრივი) ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებზე, ხოლო 48% - საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა (აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის განვითარების ბანკი, ევრობანკი) და სხვა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე.

## ინვესტიციების განაწილება დაფინანსების წყაროების მიხედვით



სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულება მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმი - 63%, ხულო - 12%, ქობულეთი - 9%, ხელვაჩაური - 4%, შუახევი - 3%, ქედა - 2%, ხოლო დანარჩენი 7% მოდის საერთო რეგიონულ პროექტებზე.

## ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.